საქართველოს
საზოგადოებრივი
მაუწყებელი

პრესრელიზი

დაუყოვნებელი გავრცელებისთვის 2 ივნისი 2010

დამატებითი ინფორმაციისთვის დუკავშირდით:

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს

ტელ: 409 477; 409 377 pr@info.ge info@gpb.ge

მობ: 877-417 996; 877-107 738

2 ივნისს, 16:00 საათზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააქტო დარბაზში (III სართული) მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია გამართავს ბრიფინგს

ბრიფინგის თემა: საზოგადოებრივი მაუწყებლის ინსტიტუციონალური განვითარება და ოპტიმიზაცია

დღეისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურაში სულ დასაქმებულია 1030 ადამიანი. მთლიანი სახელფასო ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 14 მლნ ლარს წელიწადში, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 64% პროცენტია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი მენეჯმენტის მიზანია ჯანსაღი, სიცოცხლისუნარიანი, წარმატებული ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ამ მიზნის მისაღწევად გარდაუვალია ძირფესვიანი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რაც, პირველ რიგში, ითვალისწინებს ორგანიზაციის მუშაობის მოწესრიგებას და განვითარებისათვის აუცილებელი ადამიანური და ფინანსური რესურსების ოპტიმალურ განაწილებას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გადაცემების გადახარისხების პროცესი, რაც საშუალებას მოგვცემს, ახალ სატელევიზიო სეზონზე მაყურებელს განახლებული პროექტები შევთავაზოთ.